ეროვნული ბიბლიოთეკა


**რედაქცია**

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба", при типографіи Меликова.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.


# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


## ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

## „დროება"

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების" რედაქციის შრომაში უფრო დახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში — „დროების" რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ Типографію Меликова.*

სხვა ქალაქებში „დროებაზე" ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — სვ. მესხთან (სილაზე), ფოთში — თ. ანტ. ლაზ. წერეთელთან, ახალ სენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს — თ. ტარ. ალექ. დადიანთან, ოზურგეთს — ანტ. ჯაყელთან, ყვირილაში — მ. დავ. ღამბაშიძესთან, გორს — ალალო თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

| გაზეთის ფასი — გაგზავნით და გაუგზავნელად | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წელიწადში . . . . . . . . . . . . . . . | 8 | „ |
| ნახევარ წელიწადში . . . . . . . . . . . | 4 და | 50 |
| სამის თვისა . . . . . . . . . . . . . . | 2 და | 50 |
| ერთის თვისა . . . . . . . . . . . . . . | 1 — | „ |

**აქვე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების" აგენტები იკისრებენ.**

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი **სტ. მელიქიშვილი**

რედაქტორი **ს. მესხი.**

## საქართველო

### დღიური

*** იქნება მკითხველს ახსოვდეს, რომ 1875 წელს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების 25 წლის იუბილეის დღესასწაულობის დროს, სხვათა შორის, დანიშნული იყო კომისია, რომელსაც უნდა განეხილა ლოჭინის სამეურნეო შკოლის საქმე, თუ რამდენათ მოთავსებულია ამ ალაგას ეს შკოლა, თუ რამდენათ შეუძლიან იმას თავის დანიშნულების ასრულება და სხვ. ამ კომისიამ წარუდგინა ახლა საზოგადოებას თავის განხილვის ანგარიში, რომელიც ამ 7 მარტს წაიკითხეს ხსენებულ საზოგადოების სხდომაზე.

კომისია ამბობს თავის ანგარიშში, რომ სამი გარემოება აბრკოლებს ლოჭინოში შკოლისა და სამაგალითო მეურნეობის ფერმის გამართვასაო; ერთი ის, რომ აქ ისეთი საშინელი ქარები იციო, რომ ხანდისხან დათესილი პური თავის ნიადაგით მიაქვს და სხვა ალაგას ჰყრისო; მეორე ის, წყალი არ არის ასე, რომ ხშირად გვალვისაგან ყველაფერი ხმება და შრებაო; მესამეც ის, რომ, ამ უწყლობისა და ქარის გამო, ჰაერი გაფუჭებულია და ყმაწვილები ხშირად ავად ხდებიან, ვერ სძლებენო.

ყველა ამ მიზეზების გამო, დაუდვია ის გადაწყვეტილება, რომ ლოჭინში სამეურნეო შკოლა და ფერმა უეჭველად უნდა მოისპოსო და სადმე სხვაგან უნდა გადაიტანოსო.

თუ სად და რა საშუალებით უნდა გადაიტანონ ლოჭინის სამეურნეო შკოლა, — ამაზე საზოგადოებას ცალკე სჯა ექნება ერთ შემდგომ სხდომათაგანში.

9 მარტს კიდევ იყო ერთი სხდომა ამავე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც უფ. ქიმიკოსმა სტრუვემ თავის დიდი, დიდი უშველებელი სტატია წაიკითხა შესახებ ყურძნის ქიმიურ ნაწილებისა და შედგენილობისა. იქნება ძალიან კარგი რამ იყო ეს სტატია, იქნება ახალი რამეც აღმოაჩინა იმან მეცნიერებაში, — მაგრამ, საქმე ამაშია, რომ ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს უფ. ქიმიკოსის საუბარი იმ 30—40 კაცში, რომელიც ამ სხდომაზე დაესწრო, ბევრი-ბევრი ერთს ან ორს თუ ესმოდა, ისიც კარგია. საზოგადოთ ურიგო არ იქნება, რომ საზოგადოების გამგეობამ ამისთანა სტატიებით თავი არ შეაწყინოს კრებას; ის ემჯობინება, რომ თუ მაინცა-და-მაინც საჭიროა, დაბეჭდონ ისევ საზოგადოების ჟურნალში, სადაც ყოველ მკითხველს შეუძლია წაკითხვა და გაცნობა.

*** გაზეთი „კავკაზი" გვაცნობებს, რომ ქუთაისის ლუთერნიის თავადაზნაურობამ 2,069 მილიციონერი წარმოადგინა დრუჟინაში ჩასაწერათაო.

*** ამავე გაზეთს გაუგონია, რომ ჩვენში სდგება პიროტყვთა დამფარველი საზოგადოება, რომლის წევრადაც უკვე 100 კაცამდის ჩაწერილა. საზოგადოების წესდება იმნაირივეაო, როგორც რუსეთს დანარჩენი ამგვარი საზოგადოებანი არიანო.

*** რამდენიმე პირისაგან მივიღეთ ჩვენ ამ ახლო ხანებში საჩივარი, რომ გაზეთი თავის დროზედ არ მოგვდისო და ზოგიერთებს სულაც დაკლებიათ ნომრები. ამ გვარივე საჩივარი დაბეჭდილია „კავკაზისა" და „თფილისის მოამბის" ხელის-მომწერლებისგანაც ამ გაზეთებში. უეჭველია, რომ ერთის მხრით ეს გარემოება ამჟამად იმას უნდა მიეწეროს, რომ ამ ზამთარს რამდენჯერმე ფოჩტისა და რკინის გზები იყო გაფუჭებული. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ გვარი საჩივარი ხშირად სხვა დროსაც ისმის ჩვენს ფოჩ-

## ფელეტონი

### სცენა ხალხის ცხოვრებიდგან

(დასასრული)

II

მ ა რ დ ა ხ ა. გოგია ეე, გოგია ეე, გოგია ეე, ივანე შინა ხარ ეე? შინ არა ხართ ეე, (ძაღლი ყეფს) მიშველით, ვინა ხართ ეე!

ი ვ ა ნ ე. ვინა ხარ, შემოდი, რატომ შინ არ შამოხვალ?

მ ა რ დ ა ხ ა. (შემოდის ტომრებით და ჩანახით). გამარჯვება თქვენი ეე! რამდენი ხანია ვიძახი, ვერავის გავაგონე! წინადამ ძაღლებმა შემჭამეს, ეს რა ავგული ძაღლები გყოლიათ! აბა რას იტყვით, ანგარიში გავწმინდოთ. პური რო მითხარით, თუ მომცემთ, მომეცით ეე!

გ ო გ ი ა. რამდენი მანათისაა შენი ჩვენზედ ნისია?

მ ა რ დ ა ხ ა. არა რა ვიცი, ვიანგარიშოთ და ის იქნება ეე! ხუთი მანეთის შავები ერთი წაიღეთ, კუბოს მიტკალი და სუდარა სამი მანეთისა, ეს შეადგენს რვა მანეთს ეე; პატარა გოგოებისთვის სამიოდ თავშლებიც ერთია, ეს შეადგენს თვრამეტ შაურსა ეე! ივანემაც აიღო ერთი თუმნის თავის დანიშნულათვის ნისია ეე! ბაღდადი, საკაბე, ლეჩაქი და შეიდიში ეე, სულ დაიჭერს თვრამეტ მანეთსა და თვრამეტ შაურსა ეე.

გ ო გ ი ა. ახლა მაგაში რამდენი კოდი პური უნდა მოგცეთ?

მ ა რ დ ა ხ ა. რა ვიცი, შენი ჭირიმე, ეხლა პური ქალაქში ეფად ფასობს ეე!

გ ო გ ი ა. მაინც როგორა ფასობსო?

მ ა რ დ ა ხ ა. მე და ჩემა ღმერთმა, მე და ჩემა სალოცავმა, რო გუშინწინ კოდი პური მანათად დაიკვეთა ეე!

გ ო გ ი ა. რას ამბობ, კაცო, სად გაგონილა, თუნდ თორმეტი წელიწადიც იქნება, რაც კოდი პური რვა აბაზზედ ნაკლებ არ გაყიდულა.

მ ა რ დ ა ხ ა. არ ვსტყუი, ჩემი სჯულის მადლმა ეე! ახლა ქალაქიდგან ჯარები სულ გუმბრისაკენ წავიდა, ქალაქის ქუჩები სულ დაცარიელდა, და პურის მჭამელი არავინ არის, მეიდნები მეშოკებით სამსეა და მყიდველი არავინ არი ესე!

გ ო გ ი ა და თ ა ნ დ ი ლ ა. აი დიდება შენთვის, ღმერთო, იმოდენა ხალხი ბუზივით რო ირეოდა იმ ტიალა ქალაქში, სულ საომრათ წასულა?

მ ა რ დ ა ხ ა. არა ვსტყუი ჩემი მოსეს დაბადების მადლმა და ბარუხათ ადონაის! ახლა თუნდ დაიჯერე და თუნდ ნუ. ფიცი ფიცია ეე. აგრე ამბობენ: რუსთა ხემწიფეს მიუწერია სტამბოლის ხემწიფისთვის: რაბინებს თავი დაანებე, თორემ სტამბოლს და აზრუმს გადაგიწვამო ეე! ახლა სტამბოლის ხემწიფეს მიუწერია: გაჩუმდიო, თვარა თფილისის ქალაქს გადაგიწვამო ეე! ეხლა ინგლიჩნის ხემწიფეს მიუწერია რუსთა ხემწიფისთვის: გაჩუმდიო, თორემ ზღვიდგან ცეცხლს გაგიჩენო და სულ გადაგწვამო ეე! რუსთა ხემწიფეს თავი დაუნებებია, მაგრამ სტამბოლთ ხემწიფე თავს არ ანებებს ეე.

გ ო გ ი ა. რას ამბობ ეე! ჩვენი ხემწიფისთანა ღონიერი დედა მიწის ზურგზედ არავინ არისო, სტამბოლისა და ინგლიჩნის ხემწიფეები რას დააკლებენ?!

მ ა რ დ ა ხ ა. ლაპარაკი დავიწყე, დამავიწყდა, რო შაბათის ძალი დგება ეე. გამისტუმრეთ, თუ მისტუმრებთ, თქვენი ჭატასა თუ გწამთ ეე!

ი ვ ა ნ ე. კარგი, ბევრს ნულარ ილაპარაკებ, რახან გაიეფებულა, კოდი ექვს აბაზათ წაიღე, ამაზედ ნაკლებ რაღა იქნება.

მ ა რ დ ა ხ ა. ჩემი სალოცავის მადლმა, ზარალი მაქვს ეე; მაგრამ რა გაეწყობა, თქვენი დიდი ხათრი მაქვს ეე!

ი ვ ა ნ ე. ვიცით, ვიცით ხათრიანი კაცი ხარ, მოდი და აწყე ქვევ-

ტაზე, ისეთს დროს, როდესაც გზები სრულებითაც არ არის გაფუჭებული. ეს რისგან-ღა არის? ერთი შეგვიძლიან ჩვენ ვთქვათ: რომ „დროების“ რედაქცია ამ შემთხვევაში კეთილ სინიდისიანათ ასრულებს თავის მოვალეობას: გამოსვლისათანავე ის ყოველ ხელის-მომწერელს ხვედრ ნომერს უგზავნის; ამის დასამტკიცებლად რედაქციაში იპოება ესრედ-წოდებული ფოშტის ნაკლადნოები (კვიტანციები), რომელშიაც დანიშნულია—თუ სად რამდენი ნომერი და როდის გაიგზავნა.

მიგვიქცევია ამ გარემოებაზე ჩვენი ფოშტის გამგეობის ყურადღება, იმ იმედით, რომ ამ ხშირ და დაუბოლოებელს საჩივარს ის მიაქცევს თავის მხრით ყურადღებას და ჯეროვან სახსრებს მიიღებს იმის მოსასპობელად.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქუთაისი**, 6 მარტ. არ გნებავს, მკითხველო, რომ მეორე ექსკურსია მოვახდინოთ ჩვენს ბაღში?

პირველმა ექსკურსიამ წვრილ ცხოველებს გაგვაცნო. ახლა ადამიანებს მივუბრუნდეთ; იქ ადამიანებიც ბევრნი არიან. აბა შევხედოთ, თუ ბევრნი არ არიან!

ა!... ეს რა ამბავია?.... რამდენი გამოსულა! მერმე რანაირ გასაკვირველ მოძრაობაში არიან ყველანი! დიდი, პატარა, ქალი, კაცი,—ყველანი ყუნცულობენ. ხან დაიხრებიან, ხან გაიმართებიან; ხან ერთ ფეხს აშვერენ, ხან მეორეს. ხელებიც ამნაირ მოძრაობაში არიან. იქნება გიმნასტიკური ვარჯიშობა იყოს ეს?

— ვა, ვა!... იმერელმა როგორ მოერევა იმას? იმერელმა რომ საქმე ჰქნა ხეირიანი გინახამს? ამდენი ხანია იმერეთში ვარ და მათგან უხეიროთ ნაქნარის მეტი არა მინახამს რა!

ამას ლაპარაკობს ერთი მაღალი ტანის, ჩასუქებული, გვიზიანი, შავწვერა და შავ-ულვაშა, ლოქოსმზგავსი კაცი. ამას ვითომ მიუტოვებია თავის მამაპაპური ხელობა; ალაბისთვის აღარ მოუკიდია ხელი; დაუჭერია წითელ-ყვითლად აჭრელებული, სქელი წიგნი, რომელსაც არანაკლებ ალაბისა უმოქმედნია მის გვიზის გადიდებაზე. იმერელი კი არა, საზოგადოთ არც ერთი ქართველი არ მოსწონს, თუ რამე სიცოცხლეს ატყობს მას, რადგანაც მაშინ ქართველი მას და მის მზგავსებს ადვილათ აღარ გამოაწუწნიებს თავს წურბლის მზგავსად. იმერეთში იმერლებს იწუწნებს და ქართლში ქართლელებს.

ახლანდელი მისი საბაასო საგანი ის არის, რომ ერთს იმერელს მოუნდომებია დაჭიდება ერთს თათართან, წასულან მინდორში, ჰსცემიან ერთმანერთს, მაგრამ იმდენი ხალხი შემოსევიათ გარს მაყურებლები, ისე შეუვიწროებიათ საჭიდაო ალაგი, რომ მოჭიდავეებს ველარ მოუხერხებიათ ჭიდაობა და დათხოვებიან.

— იმე, იმე!.. რას ამბობ, კაცო? ამას ქე რავა მეერევა ის თათარი! ისეთს დროს გამოჰკრავს კვანტს იმ თათარს, რომ ის სულაც არ მოელოდეს, და ბეთქას გაადენიებს ძირს. ხომ გაგიგონია იმერლის ფეხის გამოკვრა ფანდები? ამბობს ერთი იმერელი.

მთელი ხალხი ამ ჭიდაობაზე ლაპარაკობს მთელი დღე. გაცხარებული ბაასია! როდესაც მოძრაობენ ათასნაირად, როგორც ზევით ვსთქვი, უნდათ ცხადათ გამოხატონ, თუ როგორ გადიქნია თათარმა იმერელი, ან იმერელმა როგორ ჩააჩოქა თათარი და სხვა და სხვა. ჰსდგება ორი პარტია: ერთი იმერელს აქებს, მეორე თათარს.

წავიდეთ წინ ამ ბაღში. ა!... კიდევ გასაკვირველი ამბავი! ნაცნობებს ვხედავ, მივდივარ მათთან, გამარჯობას ვეუბნები, მინდა ხელი ჩამოვართვა; მაგრამ, არ მოგცეს სიკვდილი, მე ეს ველარ მომიხერხებია. ყველანი უკან იხევენ, განცვიფრებით უყურებენ ამ ჩემ თავხედობას და ხელებიც უკან მიაქვსთ. სწორეთ არ უნდათ გაისვარონ ხელები ჩვენის ხელებით! იქნება ძვირფასი ხელთათმანები წამოიცვეს ზედ, ან იქნება ჰსტკივათ ხელები (შეიძლება გულიც) და ვისმეს ყოვლად-მკურნალი ხელი მოელის მათი ხელებისათვის და მოეცხოს ყოვლად მკურნალი და მშვენიერის სუნნელებით შეზავებული მალამო? რაღაც უნდა იყოს ამ გვარი. ან, შეიძლება, ვინმემ ისეთი სიტყვა უთხრა მათ, რომ გული გაუამაყა და ტიკებივით გაჰბერა! რაც უნდა იყვეს, მე ამ ჩემს ნაცნობებს და ჩვენ საზოგადოებასაც ერთი არაკის ზნეობით-სწავლას მოვაგონებ:

„რამდენჯერ თქმულა საქვეყნოთ, რომ ლიქნა არს საზიზღარი და მასთანვე სავნებარი; მაგრამ ამა ქადაგებას სულ ამაოდ ჩაუვლია და მლიქნელსა გულისა გზა ყოვლთვის მითი შეუძლია“. საჭიროა ამის მოგონება, რომ „მელიამ არ გადიხარხაროს“, როდესაც ჩვენ, სასიამოვნო სიტყვებით შემკობილნი ვისგანმე და ალტაცებულნი, ყვავის მზგავსად „დავიყარყაროთ“.

წავიდეთ იქით. ეს რაღაა?... სამფეხი, ამაზედ დადგმული პატარა გალია ზედ-წარწერით: „სწავლული ჩიტები“. ამ გალიასთან მდგომარე კაცი გვეუბნება, რომ ამ ჩიტებს შეუძლიანთ მის დაძახებაზე ბილეთები ამოიღონ და მოგვცენ. ამ ბილეთებში იქნება ცხადად გამოხატული თქვენი ბედი და უბედობა. ბილეთი შაურათ ჰღირსო. საშინლად გამიხარდა; კარგი ორაკული გამოგვჩენია-მეთქი. სამფეხმა, წინასწარმეტყველ ჩიტებმა, ლურჯმა ცამ, თბილმა ჰაერმა და ნახევრად აღყვავებულ და ამწვანებულ ხეებზე მჯდომ ჩიტების ჭიკჭიკმა მომაგონა ძველი საბერძნეთი, პითია ორაკული, ჰაზრს უნდოდა შორს გავეტაცებინე, მაგრამ ჯგუფად ჩიტების მნახველები მოდიან და ისინი მაშლიან ხელს. ამათ ბილეთების ყიდვა უნდათ. მოდი დავრჩები და გავიგებ, ვის რას ეუბნება ბედი.

ერთი კაცი იღებს შაურს და აძლევს ჩიტების პატრონს. ის რაღაცას დაუძახებს ჩიტებს. ეს ბილეთი ნაყიდია რამდენისამე კაცის სახელზე. ერთი ჩიტი უცებ იფრთქიალებს და იტყვის:

— „ჩიკ... ჩიკ... ჩიკ... პირ... პირ... პირ... ჩაკ... ვრაკ!..“

მერმე გამოჰყოფს გალიაში თავს და წინ რომ ბილეთები უწყვია, აიღებს ერთს და აძლევს პატრონს; ის მყიდველს გადაჰსცემს. ჰკითხულობენ. ბილეთს აწერია ეპიგრაფად:

„რისთვის ურცხვისა მიქარვით გუგული
აქებს მამალსა„
მისთვის რომ იგი მაღალ ხმით აგრეთვე
აქებს გუგულსა“.

ბილეთის შინაარსი კი ესაა:

„ურთხილდით თავს, თორემ გაფუჭდება თქვენი საქმე. აგერ-აგერ შეიტყობენ თქვენ კაი კაცობას. თქვენ დიდხანს შეგიძლიანთ ერთმანერთის მეგობრები იყვნეთ, ერთმანერთის ავი და კარგი იცოდეთ; მაგრამ ავს ერთანერთისას მანამდის არ გაცხადებთ, რამ სიდიდეც უნდა იყვეს, სანამ ერთი თქვენგანი რაიმე პიროვნულ უკმაყოფილებას არ წაემტვრევა მეორესთან. მაშინ კი თქვენი ყაყანი ქვეყანას გააყრუებს. თუ ვინიცობაა ცუდათ წავიდეს თქვენი საქმე, მირჩევია ჭურები მოიპოვოთ ბევრი, რომლებმაც, როცა თქვენ ჩასძახებთ რასმე, მაზედ გრიალით მოგცენ ხმა, რომ ამნაირად მოწინაღმდეგე დააყრუოთ; ამისთანა ჭურები თქვენში მოიძებნება კარგა ძალი“. „ნომერი ლატარიის ბილეთისა ბედნიერია: 2, 3 და 4“.

ჰყიდულობს მეორე ვინმე ბილეთს. იფრთქიალებს და იტყვის;

— ჭიკ... ჭიკ... ჭიკ!.. მაზ... მაზ... მაზ... უკ... უკ... უკ... რიკ!..“

გამოჰყოფს თავს გალიაში, აიღებს ბილეთს და მისცემს პატრონს; ის მყიდველს გადაჰსცემს. ბილეთის ეპიგრაფი:

„უკუდო ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდაო“.

ბილეთის შინაარსი:

„აქამდის მოხერხებულად იქცეოდი; პედაგოგიურ ასპარეზზე იყავი; ყველანი დარწმუნებულები გყავდა შენს პატიოსნებაში და ხალხის განათლებისათვის თავის შეწირვაში. ცოტა რომ რამე ეთქვათ შენზე ცუდი, ბევრი მოსარჩლე გიჩნდებოდა; წვეროსანი უფროსიც გფარველობდა, როგორც კაი კაცს. თუმცა შენ სასწავლებლის ფულები კვრიხინში გაგზავნე, რისიც ნება შენთვის პატიოსნებას არ უნდა მიეცა,—იმ პატიოსნებას, რომელზედაც შენ ხშირად ჰღაღადებ, მაგრამ ყველაფერი ლამაზად იფარებოდა. ბოლოს შეცვრეხილი ფულების ასავსებად ათასნაირი საშუალება იხმარე, ერთისაგან უთამასუქოთ ფულები ისესხე, ცუდი ხმისაგან თავი დაიხსენი, ფულების მსესხებელს კი მერმე ცივი უარი ჰკარი: არაფერი მმართებს შენიო! და ამითი უსათუოდ წყენას მიაგებ მათ, ვინც პატიოსნად გთვლიდა და შენთვის ჯვარზე საცმელად მზად იყო. ახლა კაი ადგილზე ხარ, ასლი ხაშენოა. ქუდის ქნევაც შეგიძლიან და ენის მოძრაობაც, რაც შენ მალე აგწევს“.

„ლატარეის ბილეთის ნომერი ბედნიერია: 7,20 და რიცხვს 150-ს ხომ ძალიან კარგად იცნობ-და ისაა“.

ბოლოს ბილეთს ჰყიდულობს ერთი ახმახი, გრძელ-ტანისამოსით შემოსილი, თხელ წვერა, შეწითლებული. ამასაც სასწავლებლის საქმეებ-

---

რიდან. (მიიყვანს მარნის კუნჭულში, ამათ მიჰყვება თანდილა, ესენი ტომრებს ვაუწევენ და მარდახა იწყებს და თან ყვირის: ერთი, ორი, ორი... ამ დროს იძახის გზირი).

**გზირი.** ივანე! აჰა ივანე, ივანე!

**ივანე.** რა გინდა, კაცო, შემოდი, ვინა ხარ! (გზირი შემოდის; ხელში უჭირავს ნარბევი ქვაბი და ერთი მოკლული ქათამი).

**გზირი.** მამასახლისმა გამომგზავნა, პრისტავი და ლეჩნიჩი მოვიდნენო, ერთი ათიოდ ლიტრა ქერი ცხენებისთვინო, ერთი დოქი ღვინო და ერთი დედალი გამოგზავნეო.

**ივანე.** ი მამასახლისის... არა ი ოჯახ-მოუდრეგი, პირ-და-პირ რო აქ გამოგზავნის ხოლმე, განა ჩვენ მეტი არავინ არის ამ სოფელში? იმ დღეს არ იყო, ბზე და ქერი აქედგან წაიღეთ, ჩაფრები რო მოსულიყვნენ, ახლა რაღა გინდათ?

**გზირი.** ი ერთი რიგობა გათავდა, ახლა მეორე რიგობას მოვდევთ, კაცო.

**ივანე.** ჩვენებიანთვინ ჯერ როდის გამოგირთმევია, ახლა იმათ გამოართვი; ღვინო თუ გინდა, აი ერთი დოქი წაიღე. (ამოიღებს ერთ დოქს და მისცემს).

**გზირი.** მაშ დედალს და ქერს არ მაძლევ? მამასახლისი მე მიცი მეორეთ გამომგზავნის, მითხრა, თუ არ მოგცენო, დაარბიეო, ან ინდაური მოუკალი და ან ქაბი მოსტაცეო. აი ეს ნარბევებიც შიუკაანდგან წამოვიღე.

**გოგია.** სადა მაქვს, კაცო, ქერი, საიდგან მოვიტანო? თუ გინდა აგერ სიმინდი წაიღე.

**გზირი.** ი მუღრეგი ლეჩნიჩის ცხენი სიმინდს როდი ჭამს, თორემ სულ ერთი არ არის.

**ივანე.** რა გიყო მაშა?

**გზირი.** უსათუოდ უნდა იმოვოთ სადმე.

**გოგია.** წამოდი, ეგება ჩვენებიანთ ვესესხოთ, თუ აქვთ სადმე.

(გადიან. შემოდიან მსაჯულები, მამასახლისი და არტემა).

**მამასახლისი.** შენ ეი, ივანე, რა ბიაბრუობა გიჭირვია არტემასთვის? შენ როგორღაც დამაწყვდევა მოგდომებია აი! ვალის გადხდა უნდა, ბიაბრობას რაღას ემართლები!

**ივანე.** რა ვქნა, შეიჭირიმე, მამასახლისო, ნისიათ რო გვაქვს, და ვალიათ ვიღებთ, განა ისე უღმერთოდ უნდა მოგვექცეს, რომ სამ ზომად მეტათა გვყიდის და ნისიის სარგებელიც უნდა გამოგვართვას?

**არტემა.** სუდიებო, ერთი ჰკითხეთ მაგ უნამუსო ქართველს: რა დამიშავებია ემე, რომ მცემენ?

**ივანე.** აბა როდისა გცემეთ? აი ეს კაცები, თავიანთ ღმერთ ქვეშა ჰკითხეთ, თუ მე მაგისთვის მეცემოს, ციმბირში გამგზავნეთ.

**თანდილა.** არა, მე და ჩემმა ღმერთმა, ხოლოთ ივანემ კი უთხრა: საპალნე ნახევარზე მეტს არ მოგცემო, თუ მაგას არ დამჯერდებით, წადი საცა გინდა მიჩივლეო. მაგაზე გახურიანდა და გამოიქცა.

**არტემა.** ვა, როდის გავხურიანდი, მაგან არ იყო დავთარი თავში მახალა!

**მსაჯულები.** მოდი, არტემ, დაიდარაბას თავი დაანებე და შენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოთ დასჯერდი ორ საპალნეს.

**არტემა.** არ იქნება, სამი საპალნე ნახევარი მერგება.

**ივანე.** სუდიებო, თქვენთვის მომიხსენებია, თქვენის ხათრით მივცემ საპალნე ნახევარს; მე ხომ მაგისთვის არ დამიკვეთნია, ნისიაში ვაძლევ.

**მსაჯულები.** ხო და რა ზარალი გაქ, არტემ, შენი სამ თუმან ნახევარი არ არის ხმაზედა, ეს ტაბილო უკანასკნელად სამი თუმანი მაინცა ღირს საპალნე. ხუთ თუმნამდინ ფული მოგდის და სხვა რაღა გინდა!

**არტემა.** ჩემი ფული მაგაზედ არის სამი თუმანი, რვა მანეთი, თვრამეტი შაური და სამი კაპეიკი; ეს ფული წელიწადი თორმეტი თვე

ში მონაწილეობა ჰქონდა პატიოსან კაცებთან; დიდ პედაგოგიურ ჰაზრების გამტარებლად ითვლიდა თავს და ზოგიერთები უწოდებენ მას ხალხის მოძღვრათ და წინამძღოლათ, ხალხისათვის მღწველად. ეს პირი, თუმცა, სხვა მოძღვრებსავით, ვითომ გრძელ ფრთებს არ აგლეჯს ხალხს, მაგრამ პატარ-პატარა ბუმბულს კი ჰპტკვრის ხოლმე: „აქმეში გამოგადგები როდისმეო!“ ეუბნება. ამ კაცის ბილეთის ამოღების წინეთ ჩიტი შემდეგ ხმებს გამოჰსცემს:

— წიიპ... წრიპ... წრიპ... ტინ... ტინ... ტვინ... ლაყ!..“

ეპიგრაფი არა აქვს ბილეთს. ბილეთის შინაარსი:

„კაი ბედი დაგემართა, რომ სასწავლებელის საქმეს ახლოს აღარ ეხება შენი ხელი. ეს ადრეც რომ მოგსვლოდა, უკეთესი იქნებოდა შენი რეპუტაციი ათვის. ფონ-ვიზინის კომედია რომ წაკითხული გქონდეს, კარგი იქნება. გრამმატიკული კავშირის მნიშვნელობას მაშინ უფრო კარგად აუხსნიდი მასწავლებლებს და მოსწავლეებს და არ იტყოდი, რომ პირ-წყალი, რომელიც შენობაში ორ აგურს აერთებს ერთმანერთთან, კავშირიაო, არამედ არსებით სახელად ჩაჰსთვლიდი. პედაგოგიისათვის რომ გეს უნებინოს ცოტა, მასწავლებლებს მ ძიერ ძაღლებს აღარ დაუძახებდი შაგირდების წინაში, ჩემო მიტროფანუშკა!

„ლატარიის ბილეთი შენთვის ბედნიერია ის, რომელზედაც აწერია: „პტკვენი ნელ-ნელა“.

აწ კი გავიდეთ ბაღიდამ. დავჯერდეთ ამ პატარა ეკსკურსიას. ხალხიც იშლება, შინ მიდის. იმათ ხომ უკან ვერ გავყვებით, რომ ყური დაუგდოთ, ვინ რას ჰლაპარაკობს: ამან იმ ქალს გაუცინაო, იმან ამას „მერსი“ უთხრაო, ამა და ამ კაცს იმ ქალისთვის სიტყვა მიუცია, და მან იმაზე ჰსთქვა უპატიოსნოაო; ეს იმას უყვარსო, ის ამას უყვარსო, ნეტავი ეს იმას რათ მოჰ წონებია, ამა და ამ ოჯახში ეს ილაპარაკესო და სხვ. და სხვ. ამ საგნებს ჩვენ არავინ დაგვანებებს და ნურც გვინდა. ამას თავისი სპეციალისტები ჰყავს. შელამდებს აგერ და გახურებულ მუშაობას შეუდგებიან სპეციალისტები.

პორტოხელი

## კახის შკოლა საინგილოში

(დასასრული)

სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში იყო და არის დღეს კახის შკოლაც, რომელსაც თუ არა ეშველარა, სამუდამოთ დარჩება ტყუილ-უბრალოთ ფულების მჭამელათ. თუ ამით დამარსებელს ეხმარა რამე საშუალება, რომ ერთხელ შკოლაში შამოსულ შაგირდს არავითარი მიზეზით არ შაეძლო სწავლის მიტოვება ოთხ-წელიწადზე ადრე და ამასთან არც ის შეეძლო, რომ ტყუილ-უბრალოთ აკლდებოდეს კლაასებს, მაშინ ჩვენ ამ ჟამათ ნეტარნი ვიქნებოდით გვეხილა სოფ. კახში 120—140 სახალხო შკოლის სწავლის დამსრულებელი ახალგაზდები. და მართლაც რა ნეტარება იქმნებოდა, ვფიქრობ ახლა მე როდესაც ერთ მშვენიერ დღეს დავინახავდი ამდენი ნასწავლი და აღზრდილი ახალგასდების კრებას!

და ეს ხომ სწორეთ აგრე იქმნებოდა, თუ მართლაც ცოდნით და წინდახედულობით დაგვეწყო საქმე, ხალხი ამ სოფ. კახის შკოლაზე არ ხარჯავდა და არც ახლა ჰხარჯავს არც ერთ კაპეიკსა და ნუ თუ არ შეიძლებოდა ამ გვარ სოფელში ვალდებული გაეხადნათ ყველა მშობელი, ვ თქვათ ვისაც ჰყვანდა სამი შვილი, რომ ერთი მათგანი (9—10—11—წლისანი) უთუოდ გაეგზავნათ შკოლაში და არა მიზეზისაგამო არ შეეძლოთ მათ დააკლებინონ თავიანთ შვილებს სწავლა, არა თუ დაატოვებინონ მათ ეს უკანასკნელი ოთხ წელიწადზე ადრე!

აქ მიპასუხებენ, რომ ეგ ძალდატანება იქნებოდაო, რომ ხალხი უფრო მეტათ შეიძულებდა შკოლასა და სხვ... მაგრამ, ნუ თუ ეს მართალია ერთი მიბრძანეთ, რომელი სოფლელი გაჰბედავდა ხმის ამოღებას შკოლის უ არგებლობაზე, როდესაც ამას თვალწინ ედგმებოდნენ ასობით ნასწავლი ახალ-გაზდები! მაშინ ყოველი სოფლელი ცხადათ დაინახავდა, რანაყოფი გამოაქვს შკოლას და წინანდელი პატარა შევიწროებების მაგიერით ის ათასათ მომეტებულათ გაიხარებდა!

შკოლის უსარგებლობას აჩვენებს აგრე საქმის დაჭერა კი არა, არამედ შკოლის ღვთის ამარაზედ დაგდება, და იმ დრომდი, მანამდისინ ჩვენი სახალხო შკოლები იქმნებიან დღევანდელ მდგომიარობაში, მანამდისინ ჩვენ სახალხო შკოლებს ექმნებათ დღევანდელი წყობილობა, მანამდისინ შკოლაში სიარული მინდობილი იქნება თვით შაგირდებზე და იმათ დედ-მამებზედ, მანამდისინ მე თავის დღეში არ დავიჯერებ, რომ ესა და ეს სახალხო შკოლა კარგათ მიდისო, რამდენიც და რიმდენ გაზეთ-ჟურნალებშიაც უნდა ჰყვიროდნენ მის ქებაზე და სხვ.!

დღევანდელი ჩვენი შკოლების წყობილებანი ძრიელ და ძრიელ აბრკოლებენ მის წარმატებას და ხალხის თვალში ამაღლებას და უმეტესათ სასოწარკვეთილებაში აგდებენ ახალგაზდა მასწავლებელს, რომელიც ხედავს, რომ ფუჭად იკარგება მისი შრომა ხალხის განათლებისათვის, რომ ტყვილ-უბრალოთ ეპრძვის ის ყოველი თვისი ძალებით, რომ რამე დაასწავლოს თავის მოწაფეებს, რადგანაც აბა რასა იქ ამ მოწაფეებთან, რომელნიც დღეს მოდიან შკოლაში, და ხვალ კი არა. რამდენჯერ მოხდება ხოლმე, რომ თუ დღეს რომელიმე შაგირდს როგორმე აწყინე, ანუ როგორმე იოლათ ვერ წახველ მასთან, ხვალ და ხვალზეით აღარ მოდის და ზოგჯერ სრულებითაც სტოვებს სწავლას. ბიბრძანეთ, თქვენი ჭი იმე, რას გააწყობთ ამ გვარ შკოლებში და რა ნაყოფს მოელით მათგან, რაც უნდა კარგი მასწავლებელნი იყოლიოთ თქვენ?!

მე დარწმუნებილი ვარ, რომ ამ გვარ ხალხში, როგორი ხალხიც არის ინგილო, ამ გვარ შკოლაში, როგორი შკოლაც არის კახის შკოლა, მე, ერთათ თანაშემწე აგრონომთან, ოთხ წელში ავღზრდიდი 80—90 შაგირდა, რომელნიც კარგათ დაასრულებდნენ ყველა სწავლას რაც მოეთხოება პროგრამით მართლმადიდებლობის სარწმუნოეიბის აღმადგინელი საზოგადოების შკოლებს, თუ შაგირდები წესიერათ ივლიან შკოლაში ოთხი წლის განმავალობაში. პირიქით კი ყოველი ჩვენი ხარჯი ამ შკოლაზე იქმნება უსარგებლო და უკვლო.

ამ დრომდის და ახლაც ყველანი შკოლის ღირსებას აფასებენ შაგირდების რიცხვით, საიდამაც ისიც გამოჰყავთ, რომ ჩვენი მიზანი სრულდება, რადგანაც მომეტებული ნაწილი ბავშვებისა სწავლობს შკოლაშიო და ამას კი არ ფიქრობენ, რომ ეს შაგირდების გუნდი არის მხოლოდ დროებითა, რომელიც ყოველ წამს და ყოველ შემთხვევაში მზათ არის დასტოვოს სწავლა და მართლაც სტოვებს, რამდენიმე - თვის, - დღის შემდეგ, რომლის ადგილზე მასწავლებელი, რომ არ ჩამოვარდეს თვისი უფროსების თვალში, მოულობს საცა იქნება და როგორც იქნება ახალ მოწაფეებს, რომელნიც აგრეთვე წინა-მოადგილეების მიმხედველობით, ყოველთვის მზათ არიან მიატოვონ სწავლა და სხვ!..

საინტერესო იქნებოდა, რას ნახავდა რევიზორი, თუ ის ვსთქვათ მოვიდოდა კახის შკოლაში მეორე წელს მის დაარსებისა, ჩაჰ წერდა სახელ-გვარს ყველა შაგირდებისას, რომლებიც კი მას დაუხვდნენ შკოლაში, და ამ ქაღალდით მოვიდოდა ისევ ამ შკოლაში ერთ წელს იქით; მე დარწმუნებული ვარ, რომ შკოლა მას დაუხვდებოდა წინანდებურათ ისევ სავსე, მაგრამ როდესაც ამოიღებდა ზემოთქმულ ქაღალდს და დაიწყებდა იმ ქაღალდში მოწაფეების სახელ-გვარის კითხვას, ნახევარსაც ვერ იპოვნიდა იქ ჩაწერილებს, რომლის ადგილზე ის დაინახავდა სრულებით უცხო ბავშვებს. არ დავმალავ: ამ ორი წლის წინათ მიღებული 46 ახალი შაგირდიდამ, უდროვოთ გავიდა 14 შაგირდი, რომლებზედაც მე დავკარგე თითქმის უპრალოთ შრომა, რომლებსაც ერთი ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, ვასწავლე წერა-კითხვა, მოვამზადე შემდეგი სწავლის გასაგრძელებლათ, და ახლა კი ვინ იცის, რა მიზეზების გამო, დამტოვეს. ახლა დანარჩენი ორი წლის განმავალობაშიაც უთაოთ ერთი ამტოლაც გამოვა უდროვოთ და შემდეგში რაღა უნდა დარჩეს ჩემი ამ შკოლაში მეცადინეობისა და შრომისა!

დასასრულ, თქვენ, ხალხში განათლების დამნერგველნო, გილოცავთ თქვენი შკოლებისა მაინც მკვიდრი გზით ჰსვლელობას, რომ ყოველ საქართველოს სოფელში, სადაც ამ ჟამათ არსებობა სახალხო შკოლა, ათს წელს იქით ვნედავდეთ ასობით აღზრდილ სოფლელებს და ეს ხომ ნამდვილათ აგრე იქმნება, თუ თავიდამ მოვიშორეთ ის მიზეზები, რომლებზედაც ზემოთა ვსთქვი!

ი. როსტომაშვილი

ს. კახი.

---

აქვს, მაგასთან არის, სამი საპალნე არ მერგება?

მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი. როგორც ჩვენ გადავწყვეტავთ, ვერც შენ ამოიღებ ხმას და ვერც ეს: ორი საპალნე ამანაც მოგცეს და შენც წაიღე.

ა რ ტ ე მ ა. ვა, რას შვრებით, მე ზარალი მაქვს. მაშ გასამჯელო ამათ თქვენ მოგცეთ.

მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი. (მიდიან). მე ჩვენ ვიცით, ვინც მოგვცემს.

ი ვ ა ნ ე. მოითმინეთ ცოტას ხანს, სამხარი მიირთვით.

მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი. კარგი იქნებოდა, მაგრამ არა გვცალიან; მოიტა ეგრე ზეზელა დავლევთ თითო-ოროლა ჯამს. (ივანე დაასხამს ჯ მზედ და ასმევს მამასახლისს და შემდეგ სხვებს. არტემა დასძაბრავს რუმბსა, აძლევს საწნახლიდგან ამოსულ ბიჭებს და თითონ დაიწყებს წყვას: ერთი ორი, ორი!..).

გ ო გ ი ა. (შემოდის). არ ღიღება შენთვის ღმერთო, ეს ჭირი ძლივს მოვიშორეთ და საიდგან მოგიყვანიათ კიდევ?

ი ვ ა ნ ე. რა ვიცი, ე სუდიებმა მოიყვანეს და ორ საპალნეზედ გადამჭრე; მე ვგონებ, რო საქორწილო ღვინო აღარა დამრჩეს-რა.

გ ო გ ი ა. შენ ღვინოსა ჩივი და ჩვენ პურიც აღარა გვრჩება. წელან იყვნენ დალაქი, მენახირე, მევლე და დიაკვანი და ყველანი პურს თხოულობდნენ. მე ვიცი, ჩვენ ორივე სასყიდელი გაგვიხდება.

ი ვ ა ნ ე. ღმერთმანი ეხლა თუ არ დამაქორწილე, ან თავს მოვიკლავ და ან გადავარდები სადმე! სწორეთ რო გლეხის გაჩენაში ღმერთი არა რეულა, წლითა წლობამდის წელებზედ ფეხს ვიდგამთ, წვიმა, თოვლი, ვაი-ვაგლახი, სიცხე, გარეთკენ გდება და სხვა გაჭირვება არ გაგვაჩნია, ამ ზამთარ წელი მოვიწყვიტე ვენახში სასუქას ზიდვითა! რისთვის? რის გულისთვისა? თუ არა და ქორწილში რო ხარჯი არა ვქნათ და სოფელი არ ჩავიყენოთ და ვალი არ წამოვიდოთ, არ იქნება ნემენცურად დავიწეროთ ჯვარი?

გ ო გ ი ა. რას ამბობ, ბიჭო, ოჯახის შვილები ვართ, ოჯახის შვილებს გვეტყვიან, ჩვენ ჩვეულებას ჩვენვე უნდა დავანებოთ თავი? ვალს ავიღებ და შენ დაუქორწილებელი აღარა და აღარა გაგიშვებ.

ი ვ ა ნ ე. ოჰრათაც დარჩება მაგისთანა დაქორწილება, თუ კი სახლს ვალითა და ვახჩით ავავსებთ, ე მანდა ჩვენი სახლი სულ ნისიებში და ვალში მიდის; ოთ-ოთხი კაცი წლითა წლობამდისინ სულებს ვირთმევთ, შემოგვაქვს სახლში და ჩვენ სახლში კი არა რჩება-რა, სულ სხვას მიაქვს!

ა რ ტ ე მ ა. ვა, მაშ ჩვენ რითი უნდა ვიცხოვროთ? ღმერთს სომხისთვის დაუწესებია დუქანი, ქართლისთვის გუთანი, არ გაგიგონია ანდაზა: ღმერთმა დალოცოს სომხისა დუქანი, ქართველისა გუთანიო! (ამ ლაპარაკის დროს თვლაში არტემა ორ ჩაფს გაიპარებს).

ყ ვ ე ლ ა ნ ი. რას შვრები, კაცო, ღმერთი არა გწამს, რაზე ღუპავ ამ კაცებს!

ი ვ ა ნ ე. (გაჯავრებული გააგდებს საღვინეს ხელიდგან და მივარდება არტემას). მე ყელში სისხლი მებჯინება ჯავრისაგან და შენ აქ ტკბილსაც მპარავ! (მივარდება, რუმბს წაართმევს ხელიდგან მწურავებს და ქვევრში მიუშვებს ტკბილს, თითონ დაეტაკება არტემას, არტემა შეჰქს ყვირილს, მსაჯულები, მამასახლისი და მარდახაც აშველებენ.)

ყ ვ ე ლ ა ნ ი. რას შვრები, კაცო, მაგას ჩვენ გადავახდევინებთ: (ივანე თმებ დაჭერილი მიათრევს გარეთ არტემას)

მ ა რ დ ა ხ ა. (ხვეწნით) თავი დაანებე, თუ ქიტესა გწამს ეე.

(ამ ალიაქოთით და დავიდარაბით გადიან გარეთ).

ალექსანდრე ქავთელი

ნოემბრის 10-ს

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან, რომ ოსმალეთის ზღვის ღენერალმა გობარტ-ფაშამ ამ მოკლე ხანში დახედა შავი ზღვის ნაპირები ტრაპიზონიდამ ბათუმამდინ; თან ინგლისის ზღვის აფიცრებიც ახლდა. იმის განკარგულებით ამ ჟამად ბათუმის ნავსადგურს ამაგრებენ, მახლობლად ზღვაში მინები (ტორპედები) გაუკეთებიათ, ვინიცობაა მტრის ხომალდები შემოვიდეს, აფეთქონ; ამას გარდა ზღვის პირას ექვსს ალაგას ბატარეიები გაუმართავთ.

— ამ უკანასკნელი ორი დღის განმავალობაში თფილისში შემდეგი ახალი ამბები მოვიდა დეპეშებით:

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ცოტა იმედი არისო, რომ ოსმალეთსა და ჩერნოგორიას შუა მორიგება მოხდესო. დიპლომატები ამბობენ, რომ, არათუ ჩერნოგორიასთან, სერბიასთანაც მტკიცედ არ არის მშვიდობიანობაო. დღე-დღეზე ახალ მთავარ ვეზირის ედხემ-ფაშის გამოცვლას მოელიან. ადრიანოპოლისა და ფილიპპოპოლის სანჯაყებში ოსმალეთის მთავრობა ღვინოსა და ლორის ჩაჩხებს ამზადებს, ალბათ ინგლისის ჯარისთვის, რომლის დახმარების იმედი აქვთ, თუ ომიანობა ატყდა.

— ჩერნოგორიის მთავარს ბრძანება გამოუცია, რომ ჯარი ლაშქარში წასასვლელად დამზადებული იყოსო. ცეტინიაში მისულან ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყებულთა მოთავე კაცები და აქ მოლაპარაკება აქვთო იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებით დაიწყონ ხელ მეორედ ოსმალეთთან ბრძოლა, თუ ვინიცობაა ჩერნოგორია ვერ მოურიგდა იმას და ხელ-ახლა ბრძოლა ატყდა.

— გასულ სამშაბათს მოსულს დეპეშაში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ აქ-ურ უ ლემებში (მოლებში) და სოფტებში დიდი არეულობა და ღელვა არისო, თხოულობენ, რომ მიტხად ფაშა უეჭველად დააბრუნეთო. მმართებლობა შეშინებულია, ხონთქრის სასახლესთან და აგრეთვე მთელ ქალაქის ქუჩებში ჯარებია დაყენებული და თვალ-ყური უჭირავთ, რომ რამე უწესოება და არეულობა არ მოხდეს.

ამ დეპეშის შემდეგ, ოთხშაბათს, მეორე დეპეშა მოვიდა, რომელშიაც უფრო ცუდს ამბავს იწერებიან სტამბოლიდამ: დღე-დღეზე აქ რევოლიუციას მოელიანო, მთავრობას ჯარის იმედი არა აქვსო.

### მორიგების საქმე

ლორდ დერბი და რუსეთის ელჩი ლონდონში დათანხმებულან პროტოკოლის უმთავრესს მუხლებში. ახლა უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნი (ელჩები) თავიათ მთავრობათაგან მოელიან ბრძანებასაო; თუ რომ დაბკოლება არ შეხვდა კიდევ ამ ევროპის ექვსი უმთავრესი სახელმწიფოს დათანხმებას, 7 ან 8 მარტს ეს პროტოკოლი ხელმოწერილი და დამტკიცებული უნდა ყოფილიყო.

### კავკასიის საბებიო ინსტიტუტის

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის.

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორების: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ. ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

## განცხადებანი


კვირაობით, იარმუკაში, უ. ზაქარია ჭიჭინაძესთან ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები.

(10—8)

## წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.


## ანგარიში
### საგუე-ენისლის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1 თებერვლიდამ 1876 წლის 1 იანვრიდამ 1877 წლამდე.

| შემოსავალი | მან. | კაპ. | გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1245 | 80 | გასესხებული — — — | 3480 | „ |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების და ახალი ვადის მიცემის დროს — — — | 202 | 44 | სარგებელი ვალისა — — | 30 | „ |
| დაბრუნებული სესხი — | 1275 | „ | სამართველოს ხარჯი — | 52 | 21 |
| ჯარიმა — — — — — | „ | 72 | | | |
| შემდეგ აღებული ვალი | 1000 | „ | | | |
| ჯამი — | 3723 | 96 | ჯამი — | 3,562 | 21 |

1-ს იანვრისას 1877 წელს არის:

| | მან. | კაპ. | გასესხებული | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1245 | 80 | გასესხებული — — — | 2205 | „ |
| შემდეგი ვალი — — — | 1000 | „ | ნაღდი ფული — — — | 61 | 75 |
| წმინდა მოგება — — — | 120 | 95 | წევრების ფული საურთიერთო საზოგადოებაში — | 100 | „ |
| ჯამი | 2366 | 75 | ჯამი — | 2366 | 75 |

თავმჯდომარე რჩევისა თ. გიორგი ჯორჯაძე. წევრნი: თ. იოსებ ჯორჯაძე, ივანე დათაშვილი, გიგოლა არჯ. ფანაშვილი, ნიკო მჭედლიშვილი, სვიმონა ზ. ჩიაშვილი — წევრნი რჩევისანი.

წევრნი: ივანე როსტომოვი. გამგეობისა: მაკარ სტეფანოვი, ნიკო პინჭაშვილი.


LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

იმ ერთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—108


### „დროების“ ფოშტა

— მ—ს, ა. მ—ს. ყველაფერს თავის ბოლო და სამზღვარი აქვს. თქვენი უკანასკნელი პოლემიკური სტატია არის მხოლოთ ერთი რაღაც უხეირო და უშნო გროვა გინებისა და ფრაზების რახა-რუხი. გვეყოფა ამ საგანზე ამდენი ლაპარაკი.

— ქ—ს. ე. მ—ს. ძალიან ვწუხვარ, რომ ადრევე ვერ შეგატყობინეთ, რომ განგვთავისუფლებიათ თქვენი თავი უფ. პ—ის სტატიაზე პასუხის დაწერისაგან, და ამნაირად ტყუილ-უბრალოთ შრომა მიგალებინეთ და 16 თაბახი დიდი ფორმატის ქაღალდი გაგაჭრელებინეთ.

— თ—ს, ა. შ—ს. ღმერთი ხო მოწამეა, რომ თქვენი ლამაზი სცენებისათვის ჩვენ ხელი არ გვიხლია, ისე გვინდოდა დაგვებეჭდა გაზეთში; მაგრამ გაზეთში კი ისე გამოვიდა, როგორც თქვენ ნახეთ. ამაზე ჩვენ როდი უნდა მოვიხადოთ ბოდიში...

— იმასვე. უკანასკნელი თქვენი კორრესპონდანცია დაიბეჭდება სრულად. გახოვთ, ნუ მოგვაკლებთ თქვენს შრომას.

— ო—ს, თ. პ. უ—ს. დაკარგულის ნომრები წარსული ფოსტით გამოგიგზავნეთ და ახლა, რასაკვირველია, მიღებული გექნებათ. ამ ნომრების დაკლებაში ჩვენ უმანკონი ვართ, „ვითარცა მტრედი ღვთისა.“

— ე—ს, ა. ხ—ს. „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი.“

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | - | | | |
| მცხეთა . . . | — | — | — | — | - | 68 | | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | · | 73 | 4 | 29 |
| აკ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასადილ. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

### ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გ რდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 2 მარტს | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 34 |
| პარიჟში $313^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 190 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 190 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 84 | -- |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 82 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . . | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-თფილ რკინ.-გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ | 727 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ | 269 | — |

### მაზანდა

| თფილისი, 7 მარტს. | მან | კაპ. |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 87 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ | 3 | — |
| ქობი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 10 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 7 | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Марта 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.